თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №8133220

ნომერი: AR11163491

თარიღი : 01.10.2026

გაცემის თარიღი : 23.10.2026

გაცნობის თარიღი : 23.10.2026

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N43;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით ბასიაშვილი პ/ნ 01019005422
- თბილისი, კ.ილურიძის ქ. #50

ორგანიზაცია:
- შპს MDM Group კოდი: 400070203

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 01 ოქტომბერს №AR11163491 განცხადებით მომართა დავით ბასიაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 17 აგვისტოს №4125835 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახური, 2018 წლის 17 აგვისტოს №4125835 გადაწყვეტილებით დაეთანხმა, ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N43-ში შპს "მეგა პლაზა"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე, სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობას.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, შენობა-ნაგებობები ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს დაცვის, აგრეთვე მშენებლობის ნებართვის გაცემისა და ექსპლუატაციაში მიღების თვალსაზრისით იყოფა 5 კლასად. I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობა ექვემდებარება მშენებლობის მარტივ შეტყობინებას, II-IV კლასის შენობა-ნაგებობების მშენებლობა ექვემდებარება მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულებას.
ზემოაღნიშნული კოდექსის 101-ე მუხლის მიხედვით, მშენებლობის ნებართვა გაიცემა ორ სტადიად, გარდა ამ კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა (სამსტადიიანი წარმოება): ა) I სტადია – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება და ბ) II სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა. ამავე კოდექსის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი. შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი პირი ფიქსირდება მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე II-IV კლასის შენობა-ნაგებობების სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით განგიმარტავთ, რომ სამსახურის 2018 წლის 17 აგვისტოს №4125835 გადაწყვეტილება, წარმოადგენს I კლასის სამშენებლო სამუშაოებზე სამსახურის წერილობით თანხმობას და გადაწყვეტილების სატიტულო ინფორმაციაში დაფიქსირებული დამკვეთი-განმცხადებელი წარმოადგენს ინფორმაციული ხასიათის ჩანაწერს. შესაბამისად, იგი არ საჭიროებს ცვლილების შეტანას.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობა დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა სამსახურის 2018 წლის 17 აგვისტოს №4125835 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.